

„რაულ ხაჯიმბამ პასპორტების გაცემის თაობაზე თათბირი ჩაატარა“

28 ივნისს არალიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქის ე.წ. პასპორტისა და ე.წ. ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით თათბირი ჩაატარა.

ოკუპირებული აფხაზეთის ყველა რაიონის საპასპორტო მაგიდების ხელმძღვანელებმა დე-ფაქტო პრეზიდენტს მოახსენეს გაცემული ახალი ნიმუშის პასპორტების, გაცემისთვის დამზადებული და დამუშავების სტადიაში მყოფი აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქის ე.წ. პასპორტების ზუსტი რაოდენობა. აგრეთვე, ანოლოგიური მონაცემები ბინადრობის ნებართვების შესახებ.

დე-ფაქტო საპასპორტო მაგიდების ხელმძღვანელებს, რაულ ხაჯიმბამ, მოსახლეობის პასპორტიზაციის და ბინადრობის ნებართვების გაცემის პროცესის დაჩქარება დაავალა.

დე-ფაქტო შსს-ს დაევალა რეგულარულად მოახსენოს ე.წ. პრეზიდენტს ამ მიმართულებით სამუშაოს მსვლელობის შესახებ.

28.06.2017 ПРЕЗИДЕНТ РА http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=6121

„შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან“

ქ. სოხუმში, ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კან ტანია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (unhcr) რეგიონალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში იოჰანეს ვან დერ კლაუსს, unhcr-ის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელს აზიზ რაზჯოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში, ერიკა კვაპილოვას შეხვდა.

შეხვედრის დაწყებისას ერიკა კვაპილოვამ, კან ტანიას, გააცნო გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობა და განსახორციელებელი პროექტების გეგმა.

აგრეთვე, შეხვედრაზე დაწვრილებით განიხილეს, არალიარებულ რესპუბლიკაში, unhcr-ის განსახორციელებელი პროექტები და სამომავლო გეგმები.

28.06.2017 МИД РА <http://mfaapsny.org/news/?ID=5148>

„კოდორის ციხესიმაგრის ნაწილი შესაძლოა ჩამოინგრეს“

მდინარე კოდორი ციხესიმაგრეს ანგრევს. ამის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის დე კულტურის მინისტრის მოადგილემ ბატალ კობახიამ აცნობა.

"მდინარემ კალაპოტი იცვალა და ნაპირის გამორეცხვა დაიწყო, შეიქმნა კოდორის ციხესიმაგრის ნაწილის ჩამონგრევის საფრთხე", — განაცხადა კობახიამ და იქვე დასძინა, რომ აუცილებელია კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება 40 მეტრიანი საყრდენი კედლისათვის.

ბატალ კობახიას თქმით, კოდორის ციხესიმაგრის მშენებლობის დაწყება აფხაზეთის სამეფოს აღზევების ხანას (IX-X სს.) განეკუთვნება, მშენებლობა XIV- XV საუკუნეებამდე, ქართულ-აფხაზეთის სამეფოს პერიოდშიც გრძელდებოდა. ეს არის 2 კვ.მ ფართობის დამცავი ნაგებობა სასიგნალო კოშკითა და შიგნით ტაძრის ნანგრევებით. 14 მ სიმაღლის კოშკი ვიზუალურად უკავშირდებოდა ანალოგიურ ნაგებობას წებელდასა და სოფელ ჭლოუში. კოდორის ციხესიმაგრე ერთ-ერთი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული შუასაუკუნეების ნაგებობებიდან, რომლებიც შედარებით კარგად იყო შენარჩუნებული. იგი მნიშვნელოვნად დაზიანდა ქართულ-აფხაზეთის ომის პერიოდში. ამენების დროიდან ათასწლეულის შემდეგ, დღეს ის კვლავ დამცავი ზღუდის ფუნქციას ასრულებს.

28.06.2017 sputnik афхазия <http://sputnik-abkhazia.ru/video/20170628/1021347747/na-krayu-obryva-batal-kobaxiya-rasskazal-ob-ugroze-kodorskoj-kreposti.html>

„ვლადისლავ სურკოვის ვიზიტი“

სააგენტო „Абхазия-Информ“ ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტის პრეს-სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ 2017 წლის 3 ივლისს არაღიარებულ რესპუბლიკას სამუშაო ვიზიტით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე, ვლადისლავ სურკოვი, ეწვევა.

29.06.2017 АБХАЗИЯ - ИНФОРМ <http://abkhazinform.com/item/6089-3-iyulya-v-abkhaziyu-s-rabochim-vizitom-priedet-vladislav-surkov>

„პოლიტიკური პარტია „ამცახარას’ მე-9 ყრილობა“

29 ივნისს, ქ.სოხუმში, სასტუმრო „ინტერ სოხუმის“ საკონფერენციო დარბაზში ე.წ. ოპოზიციური პარტიის „ამცახარას’ მე-9 ყრილობა ჩატარდა, რომელსაც ოკუპირებული აფხაზეთის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული 350 ე.წ. დელეგატი ესწრებოდა.

„ამცახარას“ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა, რამაზ ჯოპუამ, ე.წ. ყრილობის გახსნისას განაცხადა, რომ უნდა განიხილონ ოკუპირებული აფხაზეთში არსებული შიდაპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აგრეთვე, არაღიარებულ რესპუბლიკაში დაგროვილი მრავალი პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები.

აღნიშნულ ყრილობას ესწრებოდნენ ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები, დე-ფაქტო პარლამენტის დეპუტატები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

29.06.2017 АБХАЗИЯ - ИНФОРМ <http://abkhazinform.com/item/6090-v-konferents-zale-gostinitsy-inter-sukhum-otkrylysa-ikh-s-ezd-oppozitsionnoj-politicheskoy-partii-amtsakhara>

29.06.2017